

№ 4 (1302)

თებერვალი 1969

სიყნობი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კპ.

ქრონიკალი
ბიზლიროთეკა



ფირმის მფლობელი: თბილისალბო.
ჩემი იმედით შევძლით ამ ჯამთარს?!
© 1969

„ნიანგი“ — „სახალხო განათლება“

ეროვნული
გაზეთი

ორმოცი წლისთავს გილოცავ
„ნიანგი“ — შენი ერთგული!
მოლოცვა დამიგვიანდა,
მითხარი, ხომ არ მემდური?

დაუზარებლად მზრუნველობ
ჩვენი სკოლების მზიანეთს...
(შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,
ადრესიც დაგიგვიანე!)

ხარ ქართველ მასწავლებელთა
მასწავლებელი... ცხრა წყარო...
და საქმეც სწორედ ის არის,
რომ მასწავლებლებს ასწავლო!



მრავალ და მრავალჯამიერ
ენთე სიმართლის ნათლითა —
მომატებული ტირაჟით,
გადიდებული შტატითა!

გისურვებ მკითხველმრავლობას,
ყოველდღიურად გამოსვლას,
ახალ ბინაში გადასვლას
და ძველი ბინის გამოცვლას!

თუმცა მე დამათმობინეს,
მაგრამ შენ, ვიცი, ვერ დათმობ
ნიკო შველიძეს — კაცურ კაცს
და ანდამატურ რედაქტორს!

ნახ. მ. აბაშიძის

ყალბი „ბიულეტენი“

იძულებით მკურნალობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა
მედიცინაში, უნდა თუ არა ადამიანს, თუკი მისი ავადმყოფო-
ბა საზოგადოებას ზიანს აყენებს (დავუშვათ, ქრონიკული ალ-
კოჰოლიზმი) მოკიდებენ ხელს, წაიყვანენ საავადმყოფოში და
ძალდატანებით უტარებენ მკურნალობას.

ამ ბოლო დროს ეს პრაქტიკა რკინიგზაზე დაინერგა.
მისი პირველი ინიციატორები სამტრედიის სავაგონო დეპოს
ხელმძღვანელები გახლავთ. მათ პირველი ექსპერიმენტული
ნაბიჯები სოსხუმის სამარტაფო გამცილებელთა კოლექტივთან
ერთად ჩაატარეს.

იძულებითი მკურნალობა ახლა ჩვეულებრივ მოვლენად იქ-
ცა რკინიგზაზე დაიწყო: მოკიდებენ ხელს სრულიად სალ-სალამათ
ვაგონს და დააყენებენ არასამუშაო პარკში, ანუ იგივე ვაგონე-
ბის საავადმყოფოში. პირველ რიგში, აქ ტარდება თვალების
ახვევა... მხოლოდ არა ვაგონისა, არამედ სახელმწიფოსი. რო-
გორ? ახლავს მოგახსენებთ:

ზამთარში ხომ ჭირდება სამგზავრო ვაგონებს გათბობა?
ჭირდება!

გათბობისათვის ხომ არის საჭირო ნახშირი? საჭიროა!
ნახშირს ხომ უნდა მოტანა? აუცილებლად!

მოტანილი ნახშირი ხომ უნდა გადმოიტვირთოს? რა თქმა
უნდა!

გადმოტვირთვას ხომ ჭირდება მუშები? ჭირდება!

უფულოდ ხომ არ გადმოტვირთავენ მუშები? როგორ გეკა-
დრებათ!

ჰოდა, არც ტვირთავენ. დგანან ვაგონები. ელიან დამცლე-
ლებს.

როცა ვაგონი გაჩერებულია, ხომ არ მუშაობს? გაჩერებუ-
ლი მუშაობა არ მინახავს!

როცა ვაგონი არ მუშაობს, სახელმწიფო ხომ ზარალობს?
აბა, სამტრედიის სავაგონო დეპოს ან სოსხუმის სამარტაფო
გამცილებელთა უფროსები ხომ არ იზარალებენ?

ზარალისათვის ხომ პასუხს მოთხოვენ? ვინ აპატიებს!


ჰოდა, აქ იწყება თვალის ახვევა.

დასვამენ დიაგნოზს და ჰაიდა! ვაგონი, რომლის ყოველი
ბორბლის შემოტრიალებას ფული მოაქვს, დგას ყალბ ბიულე-
ტენზე. იკარგება სახელმწიფო ფულები, ვიდრე მოხალისენი არ
გადმოცლიან მას. ეს კი ძალიან დიდხანს გრძელდება.

კიდევ ერთი საკითხი: ყოველ ავადმყოფს რომ მკურნალო-
ბა ჭირდება და ყოველ მკურნალობას — ფული, ფაქტია. ასე
რომ, ვაგონის „მკურნალობაც“ მოითხოვს რაღაც ხარჯებს,
ამას როგორღა აფორმებენ? ეს კიდევ თვალის ახვევის მეორე
პროცედურაა.

კითხვის ნიშნის ქვეშ რომ არაფერი დავტოვოთ, ჯობია შე-
ვიხედოთ „ლაზარეთში“ და „პაციენტები“ მოვინახულოთ. აი
ისინიც: ვაგონები №№ 6599177, 6373588, 22764974,
6439784, 6320795 და სხვ.

ყოველივე შემოტყეული შარშანდელი ამბავია და წელს
მხოლოდ იმიტომ მოვიგონეთ, რომ წარსული აღარ განმეორ-
დეს, აღარ გამოიწეროს ყალბი ბიულეტენები!



— ხელავ, ზურიკომა რა ახალი ჯართი მოიტანა?!
— მაშაჩხვი რომ ქარხნის ღირებურობი იყოს, მაც კი
მოვიტანდი!



— ახლა თქვენ მოიხმემთ კონცერტს იმ მუსიკალური ინ-
სტრუმენტებით, დაგაღების დღეზე რომ მოვიტანეთ!

გ. მებრეველი
გ. აბრამიძე

გრიპს უფრთხილდი!

ეროვნული
კომისია

ქუთაისში მეგობარი გა-
მისდა ავად. მივლინებიდან
დაბრუნებულმა საერთო ნაც-
ნობმა ამბავი ჩამომიტანა —
ახალი ტიპის გრიპი დატაკე-
ბია შოთას და სულს ძლივს
ითქვამს საწყალიო. გადავწყ-
ვიტე, ტელეფონით დავაკავში-
რებოდი მეგობრის ოჯახს და
ავადმყოფის ამბავი გამეგო.
საღამოს 8 საათი იყო.
ყურმილი ავიღე და 07 ავ-
კრიფე.

ერთხელ...
ორჯერ...
სამჯერ...
თქვენც არ მომიკვდეთ! მი-
ლში მხოლოდ გაურკვეველი
ხრიალ-შრიალი ისმოდა.

კიდევ...
კიდევ და კიდევ...
ერთხელაც...
როგორც იქნა, გაისმა ნანა-
ტრი „ტუ-უ-უ“.
გავიდა ხუთი წამი, ათი,
ოცი... „არსაიდან ხმა, არსით
ძახილი...“

კარგა ხნის უშედეგო წვალ-
ების შემდეგ თავში ბედნიერ-
მა აზრმა გამიელვა:
ჩემი სამსახურის კომუტა-
ტორში დავრეკე და ტელეფო-
ნისტ ქალს ვთხოვე, ქუთაისთან
დავაკავშირებინე. გავიგონე,
როგორ ჩაურუსულა მან ვი-
ლაცას: „რიტოჩკა, დოროგაია,
ზაპიში!..“ მერე ჩემი ბინის
ტელეფონის ნომერიც გაუყო-
რა.

„პრინიატო!..“
აგაშენა ღმერთმა!..
გავიდა ერთი საათი...
ორი...
სამი...

„ხომ არ დაავიწყდათ?“ —
გავიფიქრე და 07 ავკრიფე.
ერთხელ...
ორჯერ...
სამჯერ...

საქმე არა გაქვთ?! ხან —
ხრიალ-შრიალი, ხან — გაბ-
მული „ტუ-უ-უ“.

მოდით, ისევ ჩვენს კომუტა-
ტორში დავრეკავ, იქნებ იქი-
დან მაინც მოხერხდეს რიტოჩ-
კასთან დაკავშირება.

93-0..
„ტუ-ტუ-ტუ...“
კიდევ: 93-0...

კიდევ და კიდევ...
კიდევ და კიდევ...
თქვენც არ მომიკვდეთ!
არაფერი გამოდის!
საწერი მაგიდის დაკეტილი
უჯრიდან ტელეფონების ახალი
საცნობარო წიგნი ამოვიღე
(ამ ორმანეთიან წიგნში
5 მანეთი გადავიხადე და
ბავშვებს ხომ არ გავაფუჭებ-
ნებ!) და საქალაქთაშორისო
ტელეფონების ძებნას შევუდე-
ქი.

აჰა, გვერდი 18. „ცნო-
ბები“.

„ცნობებს შეკვეთი-
ლი საქალაქთაშორი-
სო კავშირის დაგვი-
ანების შესახებ იძ-
ლევა ცნობათა ბიუ-
რო ტელეფონით 95-
07-01“.

კარგი და პატიოსანი!
აბა, შევუდგეთ!
95-07-01 — ერთხელ...
95-07-01 — ორჯერ...
95-07-01 — სამჯერ...

„ხრ-შრ-გრ...“, „ტუ-უ-
უ...“, „ტუ-ტუ-ტუ...“
არავითარი შედეგი!..

მოიცა, მოიცა, აქ კიდევ რა
დაც წერია:

„არადამაკმაყოფი-
ლებელი მომსახურე-
ბის შესახებ აცნობ-
ეთ ცვლის უფროსს ტე-
ლეფონით 95-23-77 და
95-49-04, ხოლო თუ არ
იქნა მიღებული ზო-
მები, — საკომუტატო-
რო ცვლის უფროსს ტე-
ლეფონით 95-10-80“.

აბა, ვაცნობოთ!
ერთხელ...
ორჯერ...
სამჯერ...
ოცჯერ...

ვგრძნობ, ხელი მიკანკა-
ლებს, გული აჩქარებით მი-
ცემს, ყელში ბურთი მაწვება...
ვიწყებ თავიდან:
07... „ხრ-შრ...“

93-0... „ტუ-ტუ-ტუ...“
95-07-01... „ტუ-უ-უ...“
95-23-77... სამარისებური
სიჩუმე...

95-10-80... ტელეფონი გა-
მოირთო...

„მოგიკვდა პატრონი!“ —
ვღრიალებ და ყურმილს მაგი-
დაზე ვანარცხებ. „შენი მომ-
გონის სული!.. ამოგივარდა
ოჯახი!...“

...ლოგინიდან წამოვარდნი-
ლი შეშინებული ბავშვები ერ-
თმანეთს ეხუტებიან... ცოლს
ჭიქით წყალი მოაქვს და მამ-
შვიდებს. აკანკალებული ხე-
ლით ვიღებ ჭიქას, წყალი იღ-
ვრება, სული მეხუთება, გული
ლამისაა ამომივარდეს, თვა-
ლებში ბურუსია ჩამდგარი.

წკრ... წკრ...
— ქუთაისი შეუკვეთეთ?..
ელაპარაკეთ!..

— ახლა ველაპარაკო, თქვე
კაციჭამიებო?! დამის თორმე-
ტი საათია!.. დალიეთ ჩემი სი-
სხლი, თქვე...

— რა იყო, ბიჭო რა გად-
რიალებს? — მესმის შოთას
ხმა, — ხომ ხარ კარგად, ა?
გრიპს უფრთხილდი, გრიპს,
კინაღამ მომკლა კაცი!


გრიპსო? გრიპს კი არა,
ტელეფონს უფრთხილდით, ტე-
ლეფონს, ადამიანებო!..

ნახ. ზ. ლომიძისა



გაენიკის სიასლა

„ნიანების“ კონვეიერიდან ახლახან გადმოვიდა ახალი ავტო-
მატური ტელეფონი. მანქანას თავისუფალ შეუძლია ჩვეულებ-
რივი ტელეფონის შტაბლა.
ჩვენი გამოგონების უპირატესობა ის არის, რომ არც ნომრის
პირფარა ჭირდება, არც პარაფარი: ჩაჯდებათ შიგ ღა მიგიყვანთ
თქვენთვის სასურველ აბონენტთან.



— ეს რა გიქნია, ქალო, საგანის დაემოკლე?! —

სეზონური აუტორი

პროფესორი (აუდიტორიას): თქვენს წინ შემპანხეს თავის ქალაა, ეს იშვიათი ჯიშია. ასეთი თავის ქალა ორია ჩვენს ქვეყანაში. ერთი ნაციონალურ მუზეუმს აქვს, მეორე — მე.

- თქვენ შეგეძლოთ კარუზოს შეცვლა! — თქვა იმპრესარიომ.
- რას ამბობთ?! — წამოიძახა ახალგაზრდა მომღერალმა.
- დიახ, მის მაგივრად რომ მომკვდარიყავით.

— აი, ხომ ხედავ, მამასაც შეძლება შენი ტანის ბანა, შენ კი ამბობდი, მხოლოდ დედას შეუძლიაო.

— ჰო, მაგრამ დედა ყოველთვის მხდის ხოლმე ფეხსაცმელებს.

- რა დაგეშართა, თავი რომ დაბინტული გაქვს?
- მფრინავი თეფში დამეჭახა!
- არ გაამაგიყო?!. სად?!.
- სახლში.

— ვისაც მუსიკა უყვარს, ორი ნაბიჯი წინ! — ბრძანა კაპრალმა. მწკრივს ექვსი ჯარისკაცი გამოეყო.

— კეთილი. ახლა აიღეთ ეს როიალი და მესამე სართულზე აიტანეთ!

- რა თქვა მამაშენმა, კიბეზე რომ დაგორდა?
- გინება გამოვტოვო?
- რა თქმა უნდა.
- მაშინ არაფერი არ უთქვამს.

ორი მეზობელი ტრაბახობს:

- მე ორასი ფუთი თევზი დავიჭირე.
- ჩემს ბაღს კი ფარანი ამოყვა, რომელზედაც ეწერა: „კაპიტანი კილი. 1756“. თქვენ წარმოიდგინეთ, ფარნის შიგნით სათელი ენთო!

პირველმა მეორეს გადაუჩუჩულა:

- გამიგონე, მე ას ფუთს დავუკლებ, შენ კი, თუ ძმა ხარ, სათელი ჩააქრე!

— ამ საზიზღრობას მე არ შევჭამ, დაუძახეთ რესტორნის დირექტორს!

— აზრი არა აქვს, ბატონო, არც ის შეჭამს.

— პატივცემულო დირექტორო, მთელი კვირაა ვწვალბ და ვერ შემოვედი თქვენთან, მითხარით, როდის მიმიღებთ?

— მოვლდაპარაკეთ მდივან ქალს!

— მე მას უკვე მოველაპარაკე და კარგი დროც გავატარეთ, მაგრამ თქვენ როდის მიმიღებთ?

— უამბეთ სასამართლოს, რატომ გაიტაცეთ მანქანა?

— მანქანა სასაფლაოსთან იდგა, ვიფიქრე, მისი პატრონი ვარაიდცვალა-მეთქი.

— რა რეალისტური ნახატია, — წამოიძახა მხატვრის მეგობარმა, — პირდაპირ ნერწყვი მომივიდა!

— მზის ამოსვლამ ნერწყვი მოგიყვანა? — გაუკვირდა მხატვარს.

— ეს მზის ამოსვლაა? მე ერბო-კვერცხი მეგონა.

— დედა, აი ამ წიგნით დამაჯილდოეს დღეს სკოლაში.

— რისთვის, შვილო?

— ვინ გამოიცნობს, სირაქლემას რამდენი ფეხი-აქვსო, და მე ვუპასუხე, სამი-მეთქი.

— კი მაგრამ, სირაქლემას ხომ ორი ფეხი აქვს!

— ჰო, მაგრამ სხვებმა თქვეს, ოთხი ფეხი აქვსო.



ნ.ს. ჯ. ლოლუასი

— რას შვრები, კასო, მკლავ?!
— აბა, ჩემი ძმა რომ სამსახურიდან მოხსენი, უპატრონო ხომ არ გემონა?

უხანუკი ღიასკლისი

(რაჭული იუმორესკა)

ჩემი უბადლო ოსტატობა მინდა განახოთ: უმორჩილესად გთხოვთ, მარილი ბლომად დანაყოთ, მოზიდოთ წყალი, გააჩინოთ ქინძი და ძმარი, ჰილპილი, ბრინჯი, ტომატი კი სულმთლად,

რაც არი!
 გაფცქვენიო ხახვი, გამიხეხეთ კარდალი მალე...
 სადა ხარ, ბაბო, სად წახვედი, სად დაიძალე?!
 არ დაგავიწყდეთ: მომიტანეთ სუნელი ბლომად, განა ხუმრობა გახლავთ ჩემი გარჯა და შრომა! კვერცხი არ არის? კესარია, უბრძანე დედალს! (ამაო კრიახს უნამუსო როგორა ბედავს?!)
 ამ წუთას დადოს უსათუოდ მან კვერცხი ორი...
 ნათო, დაჭერი შენ წვრილ-წვრილად ბურვაკის ლორი,
 ბოშო, ალათი, გაანძრიე შენც ცოტა ხელი, ამდენი ჯაფით, გეფიცებით, ამტკივდა წელი...
 ჩენსაკო, ბუხარს შეუმატე ხმელ-ხმელი შეშა, ო, ამ ჩემი ქმრის უქნარობამ მთლად გამაშეშა...

აჰა, აღსრულდა სანატრელი ჩემი წადილი: გთხოვთ, ბატონებო, გთხოვთ, მიირთვათ ესე სადლი, საკუთარ ხელით ნაწვალელები და გამზადილი!

თხოვნა ტრანსპორტის ზოგჯერტი მუშაკისადმი

მოგესალმებით შორიდან, კონკრეტულ და ნახვის ნატვრითა, ყველას მოკითხვას გიგზავნით (ავტობუსების ჩათვლით) რა დამავრწყებს თქვენს ამავს, თქვენს ზრუნვას, კაცურ კაცობას, გვერდების ზელას, მუკლუგუნს, მუშტი-კრივსა და „გართობას“.

ქანქარა აკვნის ზიარნო, თქვენთან რა არის აკვანი, — ერთი უბრალო რაღაცა, ხელით სათრევი საკანი. თქვენ სულ სხვა ძალა გაბრუნებთ, არა გჭირდებათ დარწმუნება,

(თუმც ზოგჯერ ავტობუსების კუდით გვიხდება აწვევა) მაგ ძლიერების ჭირიმე, გულს რომ გვიხარებს ხანდახან, გაჩერებაზე ერთმანეთს რომ მიუდგებით მსარდამსარ. მე თქვენგან გამივითარდა მუხლში ძალა და სიმარჯვე (გატენილ ტროლეიბუსში მხოლოდ ძლიერი იმარჯვებს!) სიმალღეც თქვენი მადლია, — ფეხზე დგომისგან გაუწვრილდი და მიტომ ღია ფანჯრიდან სალამს არასდროს გაცლიდით. სიცივე, უამინდობა, შაკიკი: ანდა ანთება

თქვენი წრთობით და წყალობით არასდროს დამეგობრებოდა. რა ასპირინი აჯობებს თქვენებურ ოფლის მოდებულ ტროლეიბუსში ასვლის დროს ქეჩოში მუშტის მოდებულ აკრობატობას ვეჩვევი (არ დავიკვებნი მცირეზე),

გასაშრობ თეთრულივით ხშირად ვკიდივარ კიბეზე. თქვენი წყალობით ვისწავლე მოთმინება და ლოდინი, გაჩერებაზე რამდენჯერ მომნატრებია ლოგინი. კარებში შესვლის მრავალი დავამუშავე იღვით, მოგვერდის, შუა სარმისა ნუ მომიშალოს იმედი! დიას, ქვასავით გავმაგრდი ამდენი შეხლა-შეტევით, ერთი თუ კარი დაკეტეთ, ათ სკამზე ასი ვეტევით. მე სხვაგან მგზავრზე ამგვარი ზრუნვა არასდროს მინახავს: თქვენ ჩვენს ბილეთებს ჯიბეში სუვენირივით ინახავთ. გულჩვილობასაც შეგიქვებთ ბარემ ამ გახსენებაზე: გაჩერებაზე გელით და გარბიხართ გასვენებაზე.

ვინ არ ინატროს მაგვარი ცოდნა და გამოცდილება, სოლიდარობა, ერთობა, ძმობა და შეხმატებულება. მერწმუნეთ, სხვაგან ვერ ნახავთ ასეთ სიყვარულს იოლად, ნეტავი, მეც მიმიღებდეთ მანდ, სადმე, კონტროლიორად. გინდ კონდუქტორად დამნიშნეთ, თუნდაც დარაჯი შემარქვით, ოღონდაც დავტკებ ტრანსპორტში წინიდან ასვლის ნებართვით!

3. კახელიზვილი

ნახ. თ. ცხომელიძის



თმის ამოყვანის ახალი მეთოდი.


ჭრბაქი და ზეცის მნათობი

ზეცაში ვარსკვლავს შეხედა
ქრბაქმა — ბუუტვაში გართულმა...
თქვა: „მნათობების მეფე ვარ,
ამას მტკიცება რათ უნდა?!

რა თავს იწონებს, ნეტავი?
ხად მე, ხად მისი კამკამი!

ვერ შემედრება ბედშავი
თუნდაც ათასი ვარსკვლავი“.

ქრბაქმა — ბრიყვა და თავხედმა
ვარსკვლავის ბრწყინვა დაძრახა!
ამით ვარსკვლავად გახდება
ეს გულნამცეცა ტრახახა?!
მინა ზილღელი



— ამ ბიჭებსაც ხომ არ აიყვანთ საწვრთნელად?
— არა, მენაცვალე, მე მათ ვერ მოვრეპვი!

ზოკუსია. აბა რა?!

(ძველი ბიჭების დიალოგი)

სიკო: ვადაპრია კაცი ამ ცირკმა! ვა, რა ვნახე, ბიჭო! ფოკუსი ვნახე: კაცი ქუდში წყალს ასხამდა, მერე თავზე იხურავდა, მოიხდიდა, მტრედები გამოფრინდებოდნენ... გამაგიჟა, რა!

პოლა: შენც გინახია, რა? ეგ რა არის. მე მინახია, კაცი დაუწვევია, მერე ხანჯლი შიგ გულში გაუტარებია, მერე ერთობაც არაფერი, ხანჯლით გულში წამომხტარა!

სიკო: აი, ეგ კი მართლა ფოკუსია! ზოგიერთებმა ჩვენთან რომ ისწავლონ, ერთი მკვლელობა არ იქნება!

პოლა: ეგ ფოკუსი ცირკშია და ცხოვრებაში არ გინახია ფოკუსნიკობა? გუშინ ტროლეიბუსში ავედი, საათი მქონდა, ჩამოვედი, აღარ იყო.

სიკო: ფოკუსნიკობაა, მა რაა: გუშინ დილას ჩამოვედი წყნეთიდან, ჩემი სახლის გვერდით ცარიელი ადგილი იყო, საღამოს ავედი, ვხედავ, ისეთი კობტა აგარაკი დგას, გეგონება, ციდან ჩამოაფრინესო.

პოლა: უკეთესს გეტყვი: ჩემი ცოლი ჩამოვიყვანე თბილისში, დილას შევიდა „სილამაზის სალონო“, იქა, საღამოს მივკითხე, ვერ ვიცანი, ვიღაცა სხვისი ცოლი მეგონა, კინაღამ არშიყოფა დავუწვე, ქაჩალ-მაშოს ვეძახოდი, ორი ღერი თმა ჰქონდა, ვხედავ, მთელი კოთხო თმები არ დაუდვია თავზე! გაიყვინა და იტი, რა მითხრა? შენ იცნე და ეს თმები 50 მანეთი ღირსო, 100 გრამში 10 მანეთი მივეციო, ნახევარი კილოაო. გავგიჟდი რა კაცი!

სიკო (იციანის): მართლაც ბევრი ფოკუსია ამ ცხოვრებაში, მაგრამ, აი, აბრეშუმის ქიაზე დიდი ფოკუსნიკი მაინც არავინ არ არის. კაცო, ქია შეძერება თავის პარკში და მერე პეპელა გამოფრინდება. აი, ფოკუსი ეგ არის.

პოლა: ვიცხოვროთ, კარგად ვიყოთ, ჯერ ეგეთ ფოკუსებს ვნახავთ, დრო მოვა, ჩემს ცოლს ვენერაზე გავუშვებ, სიღედრს — მთვარეზე, მე კი მარჯვ წავალ დასასვენებლად. რათა ხელი არ შეგუშალოთ ერთმანეთს ი ფოკუსები მაშინ იქნება!

თინა შორგოლიანი



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაგონია,
ბ. ნიშნიაშვილი,
(მთავ. რედ. მკვლევარი),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

საბირისა და იუმორის შურონალი „ნიანგი“
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
ბმლ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილე 93-49-32.

საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამოცემა-გლოზა. ხალგოფ.

დასაბ. 14/11, 1969 წ.

ბაღ. ზომა 70x108/8

1 ნახ. ფურც. 1.4.

ფიზიკურ ფორმატა

რაოდენობა 1.

პირობით ფორმატა

რაოდ. 2. საბ. კვ

ცა-ის გამოცემა-გლოზა.

თბილისი, ლენინის

ბ. № 14. შიკვ. № 200

უი 00643

ბირაპი 101.800.

ავსტრია და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში სა-
მედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია.
გაზეთებიდან

22
1969



ნ.ბ. ბ. ლომიძისა

კონტროლირებადი
ექსპლუატაცია

— გაბონო დირექტორი, რა ღონე არ ვიხმარეთ: შვი-
დი ოკეანისა გავუკეთეთ, ეჭვისი გული გადავუნერგეთ,
ერთი თვე ღამე ვუთიეთ, რომ მოიკეთა, ანგარიში წარვუ-
დგინეთ და გული გაუსკდა!...